

ივანე კრილოვის იგავ-არაკის „ჭრიჭინა და ჭიანჭველას“ ორი ქართული თარგმანი

სედა ასატუროვი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი. „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა...“, ამიტომაც არის, რომ მთარგმნელობითი საქმე უაღრესად რთულია.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ ივანე კრილოვის იგავ-არაკების ქართული თარგმანები, შევადაროთ ერთი და იმავე იგავის ორი სხვადასხვა თარგმანი.

საკვლევ მასალად შევარჩიეთ ივ. კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ და მისი ორი ქართული თარგმანი, აკაკი წერეთლისეული და რაფიელ ერისთავისეული. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდი: ორიგინალისა და მისი თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.

აკაკი წერეთელმა შესანიშნავად თარგმნა და გადმოაკეთა კრილოვის 152 იგავი. კრილოვს თარგმნიდნენ იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე აბაშელი, გრიგოლ ცეცხლაძე, დავით გაჩეჩილაძე, ვ. გორგაძე და სხვები.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო კრილოვის იგავის („ჭრიჭინა და ჭიანჭველა“) ორმა სრულიად განსხვავებულმა თარგმანმა: აკაკი წერეთლისეულმა და რაფიელ ერისთავისეულმა.

ორმა ქართველმა მწერალმა თარგმნა ივანე კრილოვის ეს მართლაც საოცარი ნაწარმოები. აკაკი წერეთელმა და რაფიელ ერისთავმა თარგმნის სხვადასხვა გზა აირჩია.

რაფიელ ერისთავის თარგმანი მაქსიმალურად არის მიახლოებული ორიგინალთან: სიტყვათა წყობით, ზედმიწევნით ნათარგმნი ლექსიკით, ფრაზეოლოგიზმების თითქმის ზუსტი თარგმანით, შემასმენელთა თანმიმდევრობით.

აკაკი წერეთელს ოდნავ გადაკეთებული აქვს კრილოვის იგავ-არაკი, მწერალი წარმოგვიდგენს თითქმის დამოუკიდებელ ნაწარმოებს და, ამავდროულად, ეს უბრწყინვალესი თარგმანია.

ორივე თარგმანში გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმები, მეტაფორები, ორივე თარგმანი ბრწყინვალედ არის შესრულებული. მაგრამ ჩვენ მაინც წერეთლისეულ თარგმანს ვანიჭებთ უპირატესობას, მისი სინარჩარის, მელოდიურობისა და ხატოვნების გამო.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-შედარება შეუწყობს ხელს კრილოვის შემოქმედების შესწავლას, ზოგადად, იგავ-არაკების თარგმნის საქმეს წაადგება.

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, იგავ-არაკი, შეპირისპირებითი ანალიზი, შედარება.

შესავალი. “თარგმანი არის ისეთი პროცესი, რომლის დროსაც შესაძლებელია დამყარდეს ეკვივალენტური დამოკიდებულება ორ სხვადასხვა ენაზე გამოხატულ ტექსტს შორის. თარგმანი მეტყველების რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, რომლის სხვადასხვა ასპექტი ლიტერატორების, ფსიქოლოგების, ეთნოგრაფებისა და ლინგვისტების ყურადღებას იპყრობს.” (მარინა ჯაში, ქეთევან ჯაში, 2003). ლ. ჩერნიახოვსკაია თვლის, რომ თარგმანის მიზანს წარმოადგენს ნაწარმოების სტრუქტურის გარდაქმნა, რის შედეგადაც შინაარსის შენარჩუნებისას იცვლება გამოხატვის ფორმა - ერთი ენა ჩანაცვლდება მეორე ენით. (თარგმანი ჩვენია)(Черняховская Л., 1976).

„მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა...“, ამიტომაც არის, რომ მთარგმნელობითი საქმე უაღრესად რთული საქმეა: [გაჩეჩილაძე გ., 1966]. ასეთი თარგმანი ორიგინალის თავისებურებებს გადმოსცემს. ამასთან, იგი ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის კულტურის მონაპოვართა მატარებელიცაა. დ.ფანჯიკიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მხატვრული თარგმანი უცხოური და მშობლიური კულტურის შერწყმას ნიშნავს. სინთეზი მით უფრო მაღალხარისხოვანი აღმოჩნდება, რაც უფრო ჰარმონიულად იქნება მათი ელემენტები შერწყმული.“[ფანჯიკიძე დ., 1988]. მხატვრული თარგმანის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის ინდივიდუალურ მისწრაფებებს, მის მსოფლმხედველობას, მისი, როგორც მწერლის, ენასა და სტილს.

მხატვრული თარგმანი ხალხთა შორის კულტურული დიალოგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. როგორც ტ. გურტუევა აღნიშნავს, “...ამ დიალოგში დიდ როლს ასრულებს მთარგმნელი, რომელიც გვეხმარება ორ უცხოენოვან პოეტურ კულტურათა შორის ხიდის გადებაში.”(თარგმანი ჩვენია)(Гуртуева Т., 2008)

მეთოდები და მასალები. ჩვენი ნაშრომის მიზანია, განვიხილოთ და შევადაროთ ივანე კრილოვის იგავ-არაკის ორი ქართული თარგმანი. საკვლევ მასალად შევარჩიეთ ივ. კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ და მისი ორი ქართული თარგმანი, აკაკი წერეთლისეული და რაფიელ ერისთავისეული. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდი: ორიგინალისა და მისი თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.

მსჯელობა. დიდი რუსი მეიგავე ივანე კრილოვი დიდად პოპულარული იყო არა მხოლოდ რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოში. მისი ნაწარმოებები თარგმნეს გრიგოლ ორბელიანმა, აკაკი წერეთელმა, რაფიელ ერისთავმა. კრილოვს თარგმნიდნენ იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე

აბაშელი, გრიგოლ ცეცხლაძე, დავით გაჩეჩილაძე, ვ. გორგაძე და სხვები.(მახობეშვილი გ., 2012).

კრილოვის იგავების ენა ახლოსაა სამეტყველო ენასთან. იგი მარტივი და მუსიკალურია. ამიტომაც ზედმიწევნით რთულია მისი იგავ-არაკების თარგმნა. ეს საქმე ბრწყინვალედ შეასრულეს ქართველმა პოეტებმა, აკაკი წერეთელმა და რაფიელ ერისთავმა, როდესაც თარგმნეს კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“. კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ გამოქვეყნდა 1808 წელს.

კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ გამოქვეყნდა 1808 წელს.

ქარაფშუტა ჭრიჭინას დასახასიეთებლად კრილოვი ბევრს არაფერს ამბობს. ამისათვის მან შეარჩია მხოლოდ ერთი სიტყვა - «попрыгунья». აკაკიმ მოძებნა ზუსტი შესატყვისი - “ჭრიჭინობელა”. (გიორგი მახობეშვილი, 2012):

Попрыгунья Стрекоза
Лето красное пропела;
Оглянуться не успела,-
Как зима катит в глаза.

დაჭრიჭინობდა, დახტოდა
ჭრიჭინობელა პატარა

უმრომ-უმრუნველობით
მთელი ზაფხული ატარა
(აკაკის თარგმანი)

„ქართული ენა და ლიტერატურული ტრადიციები განუსაზღვრელ საშუალებას იძლევა მშობლიური ენის გამომსახველობითი საშუალებებით შეიქმნას და დამკვიდრდეს ახალი პოეტური მეტყველება, როდესაც საქმე ქართული პოეტური ტრადიციებისაგან განსხვავებული პოეზიის თარგმნას ეხება.“(დ.ფანჯიკიძე,1995).

განვიხილოთ ორიგინალი (კრილოვის იგავ-არაკი „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“) და შევადაროთ მისი ორი თარგმანი. აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი განსხვავებულად, მაგრამ მაინც კრილოვისეულად, იყენებენ ერთგვაროვანი შემასმენლების მთელ რიგს:

«Не оставь меня, кум милый!
Дай ты мне собратся с силой
И до вешних только дней
Прокорми и обогрей!»-
„ჩემო ნათლია!

ნუ მომკლავ

გაზაფხულამდე
და გამომკვებე, მადლია!“

(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

„ნათლავ, შენი შვილების ღხენასა,
მომხედე, ხელი გამიწყე, გამათბე, დამაპურეო,
გაზაფხულამდინ იოლად წამილე, მიმსახურეო...“

(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

შემასმენელთა ასეთი აკინძვით ავტორი მოქმედებაზე ამახვილებს ყურადღებას. ქართულ თარგმანებშიც იმავეს ვხედავთ.

აკაკისთან ადგილი აქვს შემოკლებას, გამოტოვებას. შეკვეცილია შემასმენელთა რაოდენობა. რაფიელ ერისთავი, პირიქით, ზრდის შემასმენელთა მწკრივს.

რადგან კრილოვის იგავ-არაკების ენა, ძირითადად, სამეტყველო ენაა, მის ნაწარმოებებში უხვად არის გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები:

«До того ль, голубчик, было?

В мягких муравах у нас —

Песни, резвость всякий час,

Так что голову вскружило».-ფრაზეოლოგიზმ

„ვილხენდი, გამოვაყრუე

ჭრიჭინით არე-მარე“.

(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

ლილოში ვხტოდი, ვგალობდი, **თავბრუს მახვევდა ძნობანი!**“...

(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

ამ სტროფშიც აკაკი შემოკლებას იყენებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი თარგმანის ტექსტი მეტად ტევადია. ერისთავი, ისევე როგორც კრილოვი, იყენებს ფრაზეოლოგიზმს, მაგრამ მისი თარგმანის ტექსტი მაინც შემოკლებულია.

დაჭრიჭინობდა, დახტოდა

ჭრიჭინობელა პატარა

და უშრომ-უზრუნველობით

მთელი ზაფხული ატარა.

მაგრამ Попрыгунья Стрекоза

Лето красное пропела;

Оглянуться не успела,-ფრაზეოლოგიზმ

Как зима катит в глаза

ბოლო დროს, ზამთარმა

თვალი რომ გამოუჭყიტა.

(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

ზამთარი წამოეწია!(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

მოცემულ სტროფის ორივე თარგმანი მაქსიმალურად მიახლოებულია ორიგინალთან.

«Я без души -фразеологизм

Лето целое всё пела».-

„ვილხენდი, გამოვაყრუე

ჭრიჭინით არე-მარეო“

(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

ლილოში ვხტოდი, ვგალობდი, თავბრუს მახვევდა ძნობანი!“...

(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

კრილოვის იგავ-არაკში ასევე გამოყენებულია გაპიროვნება:

Помертвело чисто поле;-олицетворение

Нет уж дней тех светлых боле,

Как под каждым ей листком

Был готов и стол и дом.

Всё прошло: с зимой холодной

Нужда, голод настаёт;

Стрекоза уж не поёт:

И кому же в ум пойдёт

На желудок петь голодный –олицетворение

აკაკი წერეთელი და რაფიელ ერისთავი კრილოვის იგავარაკის თარგმანში ასევე იყენებენ გაპიროვნებას:

გაჰქრა იგი დრო, როდესაც

ყოველგან დროს ატარებდა,

ცა ქუდად აღარ მიაჩნდა,

მიწას ფეხს არ აკარებდა!..

სიმშლით კუჭი უხმება,

თანაც სიცივით კანკალობს,

ვეღარ ჰხტის, ენაც ჩაჰვარდა,

ჩვეულებრივად ვერ გალობს!

ან კი რაღა დროს ხტომაა

და რა დროს ჭიანურია,

როცა რომ ლხინის მოყვარეს

სცივა, ჰშია და სწყურია?

(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

შემოქცნა	ველი,	მინდორი,	წავიდნენ	დღენი	ლხენისა.
ჭრიჭინას	გამხარებელნი,		გამქარვებელნი		სენისა,
როცა მას,	ყოველ	ჯაგის	ძირს,	უსრულდებოდა	წადილი.

მზად ჰქონდა სახლი და ბინა, ვახშამი, გინდა სადილი!...

(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

მოცემული სტროფების აკაკისეულ თარგმანში ვხედავთ შინაარსის აბსოლუტურ შენარჩუნებას, მაგრამ მოვლენათა თანამიმდევრობის გადაადგილებას, რასაც არაჩვეულებრივად აღიქვამს მკითხველი. ხოლო ერისთავისეულ თარგმანში ისევ და ისევ ტექსტი ორიგინალთან მაქსიმალურადაა მიახლოებული რაც, ასევე სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს.

ყველა ენას ახასიათებს საკუთარი გამომსახველობითი საშუალებები. ქართულ თარგმანებში ყოველთვის ვერ ხერხდება ორიგინალში არსებული ჰიპერბოლებისა და მეტაფორების გამოყენება.

Гипербола: -«лето целое все пела»

„ვილხენდი, გამოვაყრუე
ჭრიჭინით არე-მარეო“

(თარგმანი აკაკი წერეთლისა).

Метафоры: «лето красное пропела».

„ვილხენდი, გამოვაყრუე
ჭრიჭინით არე-მარეო“

(თარგმანი რაფიელ ერისთავისა).

დასკვნა. ივ. კრილოვის იგავის „რწყილი და ჭიანჭველა“ («Стрекоза и муравей») ორი შესანიშნავი და, ამავედროულად, სრულიად განსხვავებული თარგმანის შედარება-ანალიზმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა...“. რაფიელ ერისთავის თარგმანი მეტად დახვეწილია. იგი, ერთი მხრივ, მიახლოებულია კრილოვის იგავ-არაკთან, მეორე მხრივ, ქართული იგავია. რაც შეეხება აკაკი წერეთლისეულ თარგმანს, ეს ეზოპეს, ლაფონტენისა, და კრილოვის სიუჟეტის მიხედვით შექმნილი დამოუკიდებელი უბრწყინვალესი ნაწარმოებია.

ორივე თარგმანში გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმები, მეტაფორები, ორივე თარგმანი ბრწყინვალედ არის შესრულებული. მაგრამ ჩვენ მაინც წერეთლისეულ თარგმანს ვანიჭებთ უპირატესობას, მისი სინარჩარის, მელოდიურობისა და ხატოვნების გამო.

ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა-შედარება შეუწყობს ხელს კრილოვის შემოქმედების შესწავლას, ზოგადად, იგავ-არაკების თარგმნის საქმეს წაადგება.

ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე გ., (1958) მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბილისი: განათლება.
2. მახოზეშვილი გ., (2012) ივანე კრილოვის „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ - აკაკისა და რაფიელ ერისთავის თარგმანები. გახსენება.presa.ge/?m=&AID=13258.
3. ფანჯიკიძე დ., (1988), თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. ფანჯიკიძე დ., (1995), თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა თბილისი: განათლება.
5. ჯაში მ., ჯაში ქ.,(2003), თარგმნის ტექნიკა: Lingua Plus.
6. Гуртуева Т.(2008) Художественный перевод как составляющая культурного диалога. «Русский язык и культура в зеркале перевода. Материалы международной научно-практической конференции»:139
7. Черняховская Л. (1976) Перевод и смысловая структура. Москва: Международные отношения.
8. Герасимова Н.(2010) Курс лекций «Теория перевода».Ростов-на-Дону: РИНХ.

Two Georgian translations of Iv. Krylov's fable - "Dragonfly and Ant"

Seda Asaturova

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

"Literary translation is a form of artistic creation ...", that is why translation is an extremely difficult task.

The aim of our paper is to consider the Georgian translations of Ivan Krylov's fables, to compare two different translations of the same fable.

We have selected Iv. Krylov's fable "Dragonfly and Ant" and his two Georgian translations, Akaki Tsereteli and Raphael Eristavi. The following research method is used in the paper: Contrastive - comparative analysis of the original text and its translation.

Akaki Tsereteli translated and rewrote Krylov 152 fables. Krylov was translated by Ioseb Grishashvili, Konstantine Chichinadze, Alexander Abasheli, Grigol Tsetskhladze, Davit Gachechiladze, V. Gorgadze and etc.

We have focused on two completely different translations of Krylov's fable ("The Dragonfly and the Ant"): Akaki Tsereteli and Raphael Eristavi.

Two Georgian writers translated this truly amazing work by Ivan Krylov. Akaki Tsereteli and Raphael Eristavi selected different ways of translation.

The translation of Raphael Eristavi is as close as possible to the original text: with word

order, with a carefully translated vocabulary, with an almost accurate translation of the phraseologies, with a sequence of the predicate.

Akaki Tsereteli has slightly adapted Krylov's fable, the writer presents an almost independent work and, at the same time, it is a brilliant translation.

Phraseologisms and metaphors are used in both translations, both translations are brilliantly executed. But we still prefer Tsereteli's translation because of its script, melody, and drawing.

We think that our research-comparison will contribute to the study of Krylov's work, in general, the translation of fables will be useful.

Key words: translation, fables, contrastive – comparative analyses, comparison